გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 92

2020 წლის 10 ივლისი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2020 წლის მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2020 წლის მიმდინარე პერიოდის ფინანსური საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს (ს/კ 418471068) 2020 წლის მიმდინარე პერიოდის ფინანსური საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვი).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

ფინანსური ანგარიში

2020 წლის 16 ივნისის ჩათვლით

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო"-ს 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 3310000 (სამი მილიონ სამას ათი ათასი) ლარს. აქედან, პროგრამული კოდების მიხედვით: 020201- გარე განათების მოვლა შენახვა – 303700 (სამას სამი ათას შვიდასი ლარი), 0223- კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება 276000 (ორას სამოცდათექვსმეტი ათასი) ლარი, 0227- სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირება და მართვა 20000 (ოცი ათასი) ლარი, 0301- დასუფთავება და ნარჩენების გატანა 2133200 (ორი მილლიონ ასოცდაცამეტი ათას ორასი) ლარი, 0302- პარკების,სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა 575100 (ხუთას სამოცდათხუთმეტი ათას ასი) ლარი, 0303 სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა 2000 (ორი ათასი) ლარი. დამტკიცებულია სულ 45 (ორმოცდახუთი) საშტატო ერთეული.

თანამდებობრივი სარგოს (ხელფასი შტატებით) სახით 2020 წლის 16 ივნისის ჩათვლით სულ გაცემულია 178445.24 (ას სამოცდათვრამეტი ათას ოთხასორმოცდახუთი ლარი და 24 თეთრი) ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გახარჯულია სულ 730652.68 (შვიდას ოცდაათი ათას ექვსას ორმოცდათორმეტი ლარი და 68 თეთრი) ლარი. საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურებაზე გახარჯულია 4074.85 (ოთხი ათას სამოცდათოთხმეტი ლარი და 85 თეთრი)ლარი. აღნიშნულ პერიოდში: ოფისის ხარჯმა მთლიანად შეადგინა 27973.47 (ოცდაშვიდი ათას ცხრაას სამოცდაცამეტი ლარი და 47 თეთრი) ლარი. ქალაქში გარე და დეკორატიული განათებებისათვის ელექტრო მასალების შეძენაზე გაიხარჯა 74737 (სამოცდათოტხმეტი ათას შვიდას ოცდაჩვიდმეტი) ლარი. პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობისათვის მასალებზე გახარჯულია 5107.5 (ხუთი ათას ას შვიდი ლარი და 50 თეთრი). დასვენების პარკ „ახალბადი"-ში ზოოპარკის ცხოველების კვებისათვის გახარჯულია 2526 (ორი ათას ხუთას ოცდაექვსი) ლარი. კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელების სამუშაოებისათვის შეძენილი მარაგების ღირებულებამ შეადგინა 32758.4 (ოცდათორმეტი ათას შვიდას ორმოცდათვრამეტი ლარი და 40 თეთრი) ლარი. დასუფთავება და ნარჩენების გატანაში მასალების სახით შეძენილია 30147.46 (ოცდაათი ათას ას ორმოცდაშვიდი ლარი და 46 თეთრი) ლარი.

ტრანსპორტის საწვავ-საპოხ მასალებში მთლიანად გახარჯულია 220515.72 (ორას ოცი ათას ხუთას თხუთმეტი ლარი და 72 თეთრი) ლარი. ხოლო ტრანსპორტის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯმა მთლიანად შეადგინა 75861.5 (სამოცდათხუთმეტი ათას რვაას სამოცდაერთი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

დასუფთავების მოსაკრებელზე მთლიანად გადახდილია 1088.59 (ერთი ათას ოთხმოცდარვა ლარი და 59 თეთრი).

არაფინანსური აქტივების ხარჯმა მთლიანად შეადგინა 3833 (სამი ათას რვაას ოცდაცამეტი) ლარი.

საკუთარი შემოსავლებით 2020 წლის მაისის ჩათვლით მიღებულია 115727.5 (ას თხუთმეტი ათას შვიდას ოცდაშვიდი 50 თეთრი) ლარი. აქედან, დასუფთავება და ნარჩენების გატანიდან შემოსულია 33927.5 (ოცდაცამეტი ათას ცხრაასოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარი, ქირავნობიდან 2610 (ორი ათას ექვსას ათი) ლარი, სასაფლაოების მოვლა-პატრონობიდან 18971 (თვრამეტი ათას ცხრაას სამოცდათერთმეტი) ლარი, პარკირებიდან 30502 (ოცდათი ათას ხუთას ორი) ლარი, ხოლო დასვენების პარკი „ახალბაღი"-დან 29717 (ოცდაცხრა ათას შვიდას ჩვიდმეტი) ლარი (აუქციონიდან-ატრაქციონების დაშლიდან).